პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

9 აგვისტო, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 153 (10 072) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიმართვა

რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ კლენუმთან დაკავშირებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავისი მორიგი პლენუმის წინ სურს მიაპყროს რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის ყურადღება საკითხებს, რომელთა გამო უნდა მივიღოთ მნიშვნელოვანი და პასუხსაგები გადაწყვეტილებანი.

თუ საფუძვლიანად, ალალმართლად არ გავაანალიზეთ რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მუშაობა საგანგებო პირობებში, რომლებშიც კომუნისტებს ამ უკანასკნელ ხანს უწევდათ მოქმედება, იოლად ვერ გავალთ, თუ ნამდვილად გვინდა შევაჩეროთ არასასურველი ტენდენციების განვითარება.

საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების შემდგომი ნორმალიზაციის, სოციალურ სფეროში, საზოგადოების განწყობილებაში დაძაბულობის შენელების გზების ძიებას, ურომლისოდაც შეუძლებელია დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავება, ეკონომიკური რეფორმების დაჩქარება.

ცდება ის, ვინც ყველაფერს გარდაქმნას აბრალებს. პირიქით, პირდაპირი შეტაკებები და ძალადობა ხდება იქ, სადაც ნელა მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესები, ფერხდება დემოკრატიული განახლება, სადაც ნამდვილ საჯაროობას ჯერ კიდევ არ გაუკვალავს გზა, სადაც არ არის აზრთა ჭეშმარიტი პლურალიზმი და მოქმედების ერთიანობა.

ამ პოზიციებიდან დღეს შესაძლებლობა გვაქვს უფრო ობიექტურად გავიგოთ აპრილის ტრაგედიის მიზეზებში იმ დიდი მუშაობის გათვალისწინებით, რომელიც გასწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე შექმნილმა კომისიებმა, პრინციპული პოლიტიკური შეფასება მივცეთ ქვემო ქართლის რაიონებში, აფხაზეთში, მთელ რიგ სხვა რეგიონებში მომხდარ ამბებს, აგრეთვე კომუნისტთა მოქმედებას, სერიოზულ ნაკლოვანებებს ბევრი პარტიული ორგანიზაციისა და კომიტეტის ორგანიზატორულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და საკადრო მუშაობაში.

ამავე დროს, ჩვენი აზრით, საფუძვლიან განსჯას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ გამწვავებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ გარკვეულწილად დააჩქარა განახლების პროცესები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში, ხელი შეუწყო ზოგიერთი პრიორიტეტისა და ღირებულების გადაფასებას. ბევრი კომუნისტის, პარტიული მუშაკის მუშაობაში მკვიდრდება ახალი სტილი და მეთოდები, მთელ საზოგადოებრივ ძალებთან პოლიტიკური დიალოგის ფორმა, როგორც ოპონენტთა დარწმუნების, მომწიფებულ საკითხთა ერთობლივი გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება.

რა თქმა უნდა, ამის შედეგიც იყო, რომ მივაღწიეთ ვითარების შედარებით სტაბილიზაციას „ცხელ წერტილებში“ ისე, რომ არ მიგვიმართავს უკიდურესი ზომებისათვის, რომლებსაც შეეძლო დემოკრატიული განვითარების გზიდან ავეცდინეთ.

დასაბამი მიეცა პრობლემების პრაქტიკულ გადაჭრას, რომლებიც წლების მანძილზე ყოვლად გაუმართლებელი ბიუროკრატიული შეზღუდვებისა და აკრძალვების მარწუხებში იყო. რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში საზოგადოებრიობის მონაწილეობით მუშავდება მთელი პაკეტი ახალი პროგრამებისა და დებულებებისა, მათ შორის რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის, საქართველოს სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკავშირო კანონმდებლობის მოქმედების, ეროვნული საჯარისო ფორმირებების, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ და ბევრი სხვა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ფართო განხილვისათვის გამოაქვეყნა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის პროექტი.

მთავრდება მუშაობა ეროვნული განვითარების შესახებ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის პროგრამის პროექტზე, რომელშიც პრაქტიკულად ხორცს შეისხამს ხალხის ბევრი ეროვნუ-

იხ. მე-3 გვ.

პრის ახალი მსოფლიო ჩემპიონი!

დიანა დარჩიას ეს გრუნფელდი ვარიანტება პირველებმა მშობლიური აჭარიდან მიულოცეს. დღეიშა გუშინ გვიან საღამოს მივიღეთ რედაქციაში

დღეს ალარავის უკვირს ნორჩი სპორტსმენების წარმატებები, თითქოს თვით ყველაზე დაუჯერებელი გამარჯვებებიც კი არ გვიკვირს, მაგრამ მაინც ძალიან გვიხარია, როცა რომელიმე ჩვენი თანამემამული (სულ ერთია, სპორტის რომელ სახეობაში გამოდის იგი) უმაღლეს მწვერვალს აღწევს.

„ლელოს“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა 11 წლის ბათუმელ მოჭადრაკე დიანა დარჩიას, თანატოლთა მსოფლიო პირველობაზე რომ გამოსულიყო. არა, დარჩიას წინააღმდეგი კი არ ყოფილა ვინმე, უბრალოდ, ამ ასაკში ჭადრაკში მსოფლიო პირველობების გამართვა არასწორად მიაჩნდა საკავშირო სპორტსახკომისა და საკავშირო ჭადრაკის სამმართველოს ზოგიერთ მუშაკს და ამის გამო არ სურდა არავის დელეგირება პუერტო-რიკოში. აი, ამტომაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის გამარჯვება, ბათუმის 23-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელმა დიანა დარჩიამ რომ მოიპოვა. დიანამ შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონობა. ნორჩმა მოჭადრაკემ კარგი სკოლა გაიარა, თავისი უფროსი კოლეგების მსგავსად თავაწეული, ამაყად შეუდგა თვალუწვდენელ მწვერვალს და ასევე ამაყად, თავისუფლად დაიპყრო პირველი სიმაღლე. დღეს ჩვენი მსოფლიო ჩემპიონების ოჯახს ახალი ჩემპიონი შეემატა, ხოლო რაც შეეხება საქართველოს მოჭადრაკე ქალებს, მათს ოჯახში ეს უკვე მეხუთე მსოფლიო ჩემპიონია (ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, 20 და 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის — ქეთევან არახამია და თეა ლანჩავა, 12 წლამდე ასაკის გოგონათა შორის დიანა დარჩია!). ჭადრაკში ასეთი წარმატებისთვის არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია. აი, როგორ გაუთქვეს სახელი ქართველ ქალთა საჭადრაკო სკოლას ჩვენმა ჩემპიონებმა, მსოფლიოში აღიარებულმა დიდოსტატებმა და მათმა უმცროსმა კოლეგებმა. ხოლო ის, რომ ასე კარგად შეითვისა დიანა დარჩიამ თავისი სახელგანთქმული წინამორბედების „რჩევა-დარიგებანი“, უდავოდ მისი მწვრთნელის, ოსტატ გურამ ჭანტურიას დამსახურებაა, რომელიც გოგონას ბათუმის პიონერთა პარკთან არსებულ საჭადრაკო კლუბ „ციცინათელაში“ ამეცადინებს.

ახლა ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ ნორჩ ჩემპიონს და მის მწვრთნელს ეს დიდი გამარჯვება. უფრო ვრცლად ამ ჩემპიონატის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ, როცა ჩვენი სპორტული დელეგაცია თბილისს დაბრუნდება და საშუალება მოგვეცემა პირადად შეეხვდეთ ლაურეატსა და მის დიდებულებს.

რაც შეეხება დიანა დარჩიას დიდებულებს, მათგან ყველაზე უკეთ აქვს საქმე თბილისელ თეა ლანჩავას (16 წლამდე), რომელმაც 10 ტურის შემდეგ 8,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით ჩამორჩება პოლონელ დობროვსკას. 8-8 ქულა მოაგროვეს ქუთაისელმა სოფიკო ნიკოლაძემ და ბულგარელმა მაია კოუენმა.

სამწუხაროდ, არაფერი ვიცით ნათია ჯანჯღავას შედეგების შესახებ, რომელიც უფროს ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობს.

18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ტურნირში, დიანას მსგავსად, მსოფლიო ჩემპიონის სახელი ერთი ტურით ადრე მოიპოვა ერევნელმა ვლადიმერ აკოფიანმა.

ხურათზე: მსოფლიო ჩემპიონი დიანა დარჩია.

ანზორ ჩანტლაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოსკოვის ლაურეატები



ვლადიმერ გაბრიჩიძე

ცნობილმა ქართულმა საჭოჯბურთო „დუეტმა“— ვლადიმერ გაბრიჩიძემ და დავით კაჭარავამ, რომლებსაც წელს ერთ-ერთი დიდი საერთაშორისო ტურნირის მოგებისათვის უმაღლესი სპორტული წოდება — სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა მიენიჭათ, ამ დღეებში კვლავ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე.

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის კორტებზე გამართულ დედაქალაქის ღია პირველობაზე თბილისელებმა წყვილთა ფინალში მოსკოველ ა. შილანჯიანსა და სიმფეროპოლელ ა. ჩერნეცკის სძლიეს, რითაც მოსკოვის ჩემპიონობა მოიპოვეს და ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ. ვ. გაბრიჩიძემ (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ჩახუნაშვილი) ერთეულთა თანრიგის ფინალში კი დაამარცხა უცგოროდელი ვ. სერბაილო და ჩემპიონის კიდევ ერთ ოქროს მედალს დაეუფლა. მისი მეგობარი დ. კაჭარავა (ორივე ჩოგბურთელი დინამოელია) მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა.



დავით კაჭარავა

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი

დერბი თბილისის იპოდრომზე



ქვირას, 6 აგვისტოს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გათამაშდა სეზონის უმთავრესი ტრადიციული პრიზები წმინდასისხლის ორწლიან, სამწლიანი და ოთხწლიანი ცხენებისთვის.

სეზონის უმთავრესი ჯილდო — თბილისის დიდი პრიზი (დერბი) — სამწლიან წმინდა სისხლის ცხენებს შორის 2400 მეტრის მანძილზე დაისაკუთრა საქართველოს ახლანდელ დოღის მხედართა შორის რჩეულმა ოსტატმა, რუსთავის მკვიდრმა დავით თაბაგარმა. იგი ასპარეზობდა ბესლანის ცხენსაშენის ცხენ „ფიბრინით“.

ფინიშის ხწორზე გამოსვლისას დავით თაბაგარმა ოშვიათი ოსტატობით შეძლო ლიდერთა ჯგუფში გადაცვლება, ცოტაც და მისმა ბედაურმა პირველმა გადაჭრა ფინიშის ხაზი — თბილისის დიდი პრიზი დავით თაბაგარმა მოიპოვა. გამარჯვებულის დროა 2 წუთი და 30 წამი.

თაბაზ ქიქავაძე ტექსტი და ფოტო

ელვა-ინფორმაცია

ნანა იოსელიანი პრიზიორთა შორის

შვეიცარიის ქალაქ ბილში დამთავრებულ დიდოსტატ ვაუთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ხაპატიო III ადგილი დაიკავა თბილისელმა დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა — 7 ქულა 14-დან. I ადგილი არგენტინელ კამპორას ხვდა (8,5), მეორე იყო ავსტრიელი კლინგერი — 7.

მილიარდის საიდუმლოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ ფიქრები სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პლენუმის შემდეგ

ალბა ყველაფერი ჩავლილია და შეიძლება თამამად ითქვას: ჭოხდა ის, რაც საბოლოო ანგარიშით მაინც მოსალოდნელი იყო. ამ ერთი შეხედვით კატეგორიული დასკვნის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

ამ სპექტაკლს უდავოდ ჰყავდა თავისი რეჟისორი. მაგრამ ვინ? ვერ გეტყვით. ასეთი საქმე უხმაუროდ კეთდება და ვერ გაიგებ, საიდან მოდის, რა ბილიკით მიიწევს სცენისკენ, სადაც იმას, რასაც ზოგიერთნი გულით ვართ მინდობილნი, თეატრალიზებულ სანახაობად გადაგვიცვლიან ხოლმე.

სცენაზე, უფრო სწორად, საქმიან თავყრილობათა პრეზიდიუმში იშვიათად როდი გვინახავს მხრუბზე გარდაქმნის მანტიამოსხმული ბიუროკრატები, რომლებიც საჯაროობისა და დემოკრატიის სახელით თვალებში უტიფრად ნაცარს გვაყრიან და თან ამბობენ: დიახ, სწორედ გარდაქმნამ, საჯაროობამ და დემოკრატიამ მოგვცა დღეს ასეთი ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობაო!

არაფერს ვეჯარბებ, სწორედ ამ სიტყვებით დასრულა 4 აგვისტოს საღამოს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. გრამოვმა თავისი გამოსვლა ეოკ-ის პლენუმზე.

ეს იყო გვირგვინი სპექტაკლისა, რომელიც იმ დღეს სსრ კავშირის სპორტსახკომის საააქტო დარბაზის სცენაზე დაიდგა სსრ კავშირის ეოკ-ის პლენუმის მიერ. სცენარი ითვალისწინებდა 1998 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატის დასახელებას (სულ სამი ასეთი კანდიდატი იყო).

ჯერ პრეტენდენტთა სავიზიტო ბარათებს გავეცნოთ:

ალმა-ათა — სპორტის ზამთრის სახეობათა ერთ-ერთი აღიარებული ცენტრი. აქ ბევრი სპორტული ბაზა უკვე გაშენებულია, ჩატარებულია არაერთი საერთაშორისო შეჯიბრება. ალმა-ათა დღეს ყველაზე ახლოსაა, რომ სრულად დააკმაყოფილოს თეთრი ოლიმპიადის მასპინძლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

ბაკურიანი — მთელს მსოფლიოში ცნობილი სამთო კურორტი და სათხილამურო სპორტის ცენტრი. მისი ტრასები რეგისტრირებულია საერთაშორისო ფედერაციებში და მინიჭებული აქვს სერტიფიკატი. სსრ კავშირის ნაკრები გუნდები თეთრი ოლიმპიადისთვის ტრადიციულად ბაკურიანში ემზადებიან.

სოჭი — დღემდე მხოლოდ ზაფხულის კურორტად ცნობილი ადგილი. ვარაუდობენ სათხილამურო ცენტრად აქციონ კრასნაია პოლიანა. ჯერ არც სსრ კავშირში, არც მის ფარგლებს გარეთ არავის სმენია, რომ სოჭს უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობისთვის.

სიმართლე გითხრათ, ჩვენც და ბევრი სხვაც იმის მოლოდინში ვიყავით, რომ არჩევანი ალმა-ათაზე ან ბაკურიანზე შეჩერდებოდა, სოჭი კი მოხსნიდა თავის კანდიდატურას და დასჯერდებოდა მხოლოდ იმას, რომ თავის განზრახვას გააცნობდა სამყაროს. ოლიმპიური მოძრაობის დიპლომატია იცნობს ასეთი ტაქტიკის მაგალითებს.

— რა შეჯიბრებები ჩატარებულა თქვენთან, აქვს თუ არა მინიჭებული თქვენს ტრასებს საერთაშორისო სერტიფიკატი? — ჰკითხეს სოჭის მერს, როცა ის ტრიბუნაზე იდგა და თავისი ქალაქის კანდიდატურას იცავდა. არაო, იყო რიხიანი პასუხი.

ჩვეულებრივ ასეთი პასუხი დარბაზში ცინიკურ ღიმილს კი არა, ხარხარს უნდა იწვევდეს, მაგრამ, თუ ასე არ ხდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი სცენარითაა გათვალისწინებული.

იყო თუ არა ეს თვალთმაქცობა მოულოდნელი საქართველოს წარმომადგენლებისთვის? ალ, თუ არ იყო, რა ვიღონეთ? იქვით ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ აშკარად ჩვენი საწინააღმდეგო კონკრეტულად არაფერი გამოკვეთილა.

ბაკურიანის საკითხის განხილვამდე რამდენიმე ხნით ადრე წამოიჭრა საკითხი, რომ მას მოეხსნა თავისი კანდიდატურა, მაგრამ იქვე ითქვა: რატომ, რა მოტივით? თუ ეს პროტესტი უნდა ყოფილიყო, რის მიმართ? ასეთი ნაბიჯი აგრესიულად განწყობილთა მხრიდან წამოწყებულ უხილავ ომში ჩვენი კაპიტულაციური დამარცხების ტოლფასი იქნებოდა. თვით იმ სპექტაკლის რეჟისორებიც დაველოდნენ, უყსიდად საყვედურებით მაინც აგვავსებდნენ: საკუთარი თავის მტრები ხართ, ეს რა ჰქენით, რა შესაძლებლობა გაუშვიათო ხელიდან. მერე ალბათ იმასაც დაამატებდნენ — სხვა გზა აღარ იყო, იძულებული გავხდით სოჭზე გადაგვეტანა ყურადღებაო. ალმა-ათა? ალმა-ათას მიზეზს ათასს მოუძებნიდნენ, თუნდაც იმას, რომ ეოკ-ის იმ სხდომაზე, როცა საკითხი ტელეტრანსლაციის შესაძლებლობებს შეეხო, ალმაათელები ტყუილში დაიჭირეს. მათ ფრანგული თანამგზავრის შესაძლებლობები მოიშველიეს, ასეთი სატრანსლაციო თანამგზავრი კი თურმე საერთოდ არ არსებობს(?!). აქვე ვიტყვით, რომ კოსმონავტმა გ. გრეჩკომ სსრ კავშირის სატელევიზიოს თავმჯდომარის მოადგილეს გ. იუშკიავიჩუსს რამდენჯერმე გაუმეორა შეკითხვა, სამ კანდიდატში რომელს აქვს ტელეტრანსლაციის უკეთესი შესაძლებლობებიო. იუშკიავიჩუსმა დაასახელა სოჭი და ბაკურიანი. ბოლოს გრეჩკომ ასე შეაბრუნა კითხვა: სოჭს თუ ბაკურიანს? — ორივესო, კვლავ უპასუხა იუშკიავიჩუსმა.

სოჭის ასე დაკინებით წინ წამოწევაში იყო რაღაც მიმანიშნებელი.

ერთადერთი მიზეზი ჩვენი მხრიდან პროტესტისათვის იყო ის, რომ სსრ კავშირის, ამ მრავალეროვანი სახელმწიფოს ეოკ-ის შემადგენლობაში აბსოლუტური უმრავლესობა ერთი ეროვნების ხალხი, ერთი რესპუბლიკის — რსფსრ-ის წარმომადგენლებია. საგანგებოდ გადავთვალიერეთ სია: სსრ კავშირის ეოკ-ის 178 წევრიდან 136 რსფსრ-ის წარმომადგენელია. ხომ საკითხთან დაკავშირებით პროტესტის შეტანა არ იქნებოდა მომგებიანი. ჯერ ერთი, ასე სახელდახელოდ არავინ გადაახალისებდა შემადგენლობას, მეორეც, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები დიდი ხანია დავობენ ამის თაობაზე, მაგრამ ამაოდ. არსებული წესით, საკავშირო ფედერაციების ყველა თავმჯდომარე მექანიკურად ხდება ეოკ-ის წევრი. საკავშირო ფედერაციები მოსკოვშია თავმოყრილი და იქ არც თბილისელს აირჩევენ თავმჯდომარედ, არც რიგელს. თუმცა, ერთი ბედნიერი გამონაკლისი მაინც არის — კეტბურთის საკავშირო ფედერაციის შტაბბინა თბილისშია, იქ, სადაც მისი თავმჯდომარე — რ. ჟოგლიძე ცხოვრობს და მუშაობს. მაგრამ გამონაკლისები რომ არ შველის საქმეს?

ეოკ-ის პლენუმზე „დიდი ბაკურიანის“ განაშენიანების თაობაზე განმარტებებს იძლევა პროექტის ავტორი ლევან ლორთქიფანიძე.

მაშ ასე, ჩვენ ჩავებით თამაშში, რომელიც, დაგეგმილი სცენარით, წინასწარ იყო წაგებული. თუმცა არ შეიძლება არ ითქვას: რამდენიმე თვის წინათ, როცა ბაკურიანის თუ აქეთ არ დაგვიწყებდნენ, ... ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა ... ეოკ-ის ... ეოკ-ის ... ეოკ-ის

მიმართვა

რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმთან დაკავშირებით

(დასასრული)

ლი მისწრაფება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უნდა დაამტკიცოს და საზოგადოებრივი განხილვისათვის რეკომენდაციად მისცეს ამ კონცეფციის პროექტს.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სწორი მიმართულებით გადავდგით თუ არა პირველი ნაბიჯები, მიგვიყვანს თუ არა ეს გზა სამოქალაქო თანხმობისა და ეროვნული კონსოლიდაციის ტაძრამდე, ურომლისოდაც ძნელია ვიქონიოთ გარდაქმნისა და დემოკრატიული განახლების წინსვლის იმედი.

პლენუმზე დამატებითი იმპულსი უნდა შეიძინოს შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნის პროცესებმაც. სავსებით ცხადია, რომ პოლიტიკური მუშაობის არსენალიდან ბევრი რამ საბოლოოდ უნდა მოვიშოროთ თავიდან, უკუვაგდოთ ის, რაც ხელს გვიშლის ვიყოთ უფრო ახლო ადამიანებთან, ხალხის რეალურ საზრუნავთან. უამისოდ ძნელია წარმატების იმედი ვიქონიოთ.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან არა მარტო ფეხს უწყობდნენ დროს, საზოგადოებრივი შეგნების განვითარების დონეს, არამედ უსწრებდნენ კიდეც მათ, ხელიდან არ უშვებდნენ ინიციატივას, რითაც ისარგებლებდნენ ძალები, რომლებსაც არ სურთ ცვლილებები, პარტიული აქტივისადმი ნდობის აღდგენა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვიფიქროთ, თუ რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად იმისათვის, რომ პარტიული კომიტეტების, კომუნისტების პოზიცია მუდამ და ყველაფერში იყოს აქტიური, რომ ყოველდღე ყველაზე მოულოდნელ და არასტანდარტულ სიტუაციებში ვაღწევდეთ თუნდაც მცირე, მაგრამ მაინც გამარჯვებებს.

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ პარტიულ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ ადამიანები, რომლებსაც კომუნისტთა და უპარტიოთა შორის რეალური ავტორიტეტი აქვთ?

სად არის ის ბერკეტი, რომლითაც შევძლებთ რეალურად უზრუნველვყოთ პარტიული და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნა, ავამაღლოთ საბჭოებში, სამეურნეო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტთა პასუხისმგებლობა?

ვინ უნდა აგოს პასუხი იმისათვის, რომ პრობლემები, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში წამოჭრება, უფრო სწრაფად შეგნიშნოთ და გავაანალიზოთ პარტიულ ორგანიზაციებსა და კომიტეტებში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, და უკუკავშირის საფუძველზე რეკომენდაციებისა და რჩევა-დარიგებების სახით მიდიოდეს პარტიულ ორგანიზაციებში?

ამ და ბევრ სხვა კითხვაზე ყველამ უნდა ვუპასუხოთ მომავალი პლენუმის დროს.

სჯა-ბაასი შეეხება არა მარტო კონკრეტულ ადამიანებს, კომუნისტებს, მომწიფებულ საკადრო ცვლილებებს, არამედ უფრო თანამედროვე პირობებში საკადრო მუშაობის ზოგად კონცეფციასაც, იმის საჭიროებას, რომ ვაწარმოოთ იგი პარტიულად, დემოკრატიულად, რათა კვლავაც არ მოგვივიდეს შეცდომები. ეს, რა თქმა უნდა, როდი ნიშნავს, რომ პლენუმზე სერიოზულად არ განვიხილავთ საკითხს პარტიულ კომიტეტებში. მათ შორის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში მომუშავე ცალკეულ კომუნისტთა მინდობილი საქმისადმი დამოკიდებულების, მათი იმ უნარის შესახებ, რომ გაიყოლიონ და დაარწმუნონ ადამიანები, იკისრონ ახალი მოვალეობანი.

გვესმის, რომ ყველა ამ პრობლემის გადაწყვეტა ერთი პლენუმის ფარგლებში შეუძლებელია, მაგრამ ბჯობას დასაბამი უნდა მიეცეს სწორედ ახლა, პარტიაში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის, ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინ, რასაც თან ახლდება პარტიის საქმიანობის რეფორმირება, პარტიული და სახელმწიფო აპარატის გაწმენდა სახელგატეხილი და უუნარო მუშაკებისაგან, ბევრი დაუმსახურებელი პრივილეგიისა და შეღავათის ლიკვიდაცია. ზოზინის დრო არა გვაქვს და არც გვექნება.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის კომუნისტებს, უპარტიოებს, ჩვენს ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, მშრომელებს, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის წარმომადგენლებს ჩაერთონ მომავალი პლენუმისათვის მზადებაში, და იმედი გვაქვს, რომ გამოვძებნით ისეთ გადაწყვეტებს, რომლებიც მკვეთრად გააქტიურებს შინაპარტიულ ცხოვრებას, გააძლიერებს [illegible] თველოს კ[illegible] რესპუბლიკაში, [illegible] დინარეობ[illegible] ტიის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის ავტორიტეტს, შესაძლებლობას მოგვცემს საფუძველი ჩავუყაროთ საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივობის პრინციპულად ახალ ურთიერთობას, რომელიც დაფუძნებული იქნება სრულ ნდობასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე.

ველით თქვენს მოსაზრებებს, წინადადებებს, შენიშვნებს, კითხვებს, რომლებიც შეგიძლიათ გამოუგზავნოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სადაც მათ ოპერატიულად გააანალიზებენ და განაზოგადებენ პლენუმის დოკუმენტების მომზადების პროცესში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს თქვენს მოვალეობის გრძნობას, ელის გაგებასა და მხარდაჭერას, რჩევასა და დახმარებას ამ რთულ, ძნელ, მაგრამ ყველა ჩვენგანისათვის ფრიად მნიშვნელოვან საქმეში, უწინარეს ყოვლისა, კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეებში, საზოგადოების რევოლუციური განახლებისათვის ძალისხმევის გაძლიერებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

I ლიგა

7 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXIV ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (ბათუმი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0 (0:0)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 7 აგვისტო.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, ქასრაშვილი, დურდიაძე, შეედლიშვილი (მეშკოვი), მაჭუტაძე, ათაუაშვილი (ციკლიაშვილი), კაკალაშვილი, ბიგვავა, უვანია, მაისურაძე.

კუზბასი: კრიუკოვი, პერმინოვი, რომანიუკი, ფომიჩევი, კოლჩინი, სანდალოვი, ტრონჩკოვი, ვასილევსკი, სუროვი, ბოლოგოვი, ზემლინი.

მსაჯი ვ. ბოგინი (ნარვა).

ამ შეხვედრის უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ დინამოელები მხოლოდ 2 ქულით უსწრებდნენ „კუზბასს“. გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლები საგრძნობლად სცილდებოდნენ აუტსაიდერთა რიგებს და სწორედ ამიტომაც ბრძოლა ამ ორი ქულისთვის საჭირო იყო მთელი შესაძლებლობით.

მაგრამ ასეთივე ამოცანის წინაშე იდგნენ სტუმრებიც, ამის გამო, არც მათ დაიშურეს ძალები, ბრძოლა იყო შეუპოვარი, დაძაბული.

შეხვედრის დასაწყისში ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა მიეცა ჟვანიას, მაგრამ თავგამოდებით ითამაშა მეკარე კრიუკოვმა, მერე კი უპირატესობა კემეროვოელთა მხარეს გადავიდა და თუ მათ წარმატებას ვერ მიაღწიეს, ეს „დინამოს“ მეკარის ბალაძის ოსტატური თამაშის მეოხებით იყო. ბალაძემ ტაიმის მსვლელობაში რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია და მათ შორის, 11-მეტრიანიც. მე-19 წუთზე გარღვევაზე გავიდა ტრონჩკოვი, იგი მცველებმა აკრძალული წესით წაჩაქიეს და მსაჯმაც 11-მეტრიანის ნიშნულზე მიუთითა. რომანიუკის ძლიერი დარტყმა ბალაძემ უკუაგდო, ბურთს ვასილევსკის მიუსწრო, მისი დარტყმა მეკარემ კვლავ მოიგერია.

შესვენების შემდეგ ვითარება შეიცვალა. დინამოელები უფრო მოფიქრებულად, გაჯარებულად თამაშობდნენ და ახლა „კუზბასის“ მეკარესა და მცველებს დააწვათ მთელი სამუშაო.

69-ე წუთზე სტუმრების საჯარიმო მოედანზე შეიჭრა დინამოელთა მცველი გოგიტიძე, მის წინააღმდეგ მცველებმა უხეშად ითამაშეს და „კუზბასის“ კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. დარტყმა ზუსტად შეასრულა ღურდიაძემ. 1:0— ასეთი ანგარიშით გამარჯვეს ბათუმელმა ფეხბურთელებმა, თამაშის დამთავრებამდე მათ კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე შესაძლებლობა.

ოთარ მურვანიძე.
(ტელეფონით ჩვენი კორ.).

• • •

ქუთაისის ტორპედოელებმა გაანვლილ ტურში თავიანთ მინდორზე მიიღეს აბოვიანის „კოტაიკი“. ეს გუნდი ქუთაისელთათვის ტრადიციულად ძნელი მეტოქეა, წლევანდელი გათამაშების პირველ წრეშიც აბოვიანელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ტორპედოელთა გუნდი. მატჩის დაძაბულობას ისიც განაპირობებდა, რომ მომდინარე გათამაშების სატურნირო ცხრილში ტორპედოელები სულ 1 ქულით უსწრებდნენ „კოტაიკს“, ამიტომაც სატურნირო ცხრილში პოზიციის განსამტკიცებლად მათ აუცილებლად ესაჭიროებოდათ გამარჯვება.

და რევანშში შედგა. ტორპედოელებმა დიდი მონდომებით, ძლიერად ჩაატარეს თამაში გამოცდილ მეტოქესთან, კარგად გამოიჩინა თავი კოლექტივის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა და ქუთაისელთა გამარჯვება, ფაქტიურად, დასაწყისშივე გამოიკვეთა.

მომდინარეობდა მატჩის მე-6 წუთი, როცა I ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა მერაბ მეგრელაძემ ოსტატური დარტყმით პირველი ბურთი გაგზავნა სტეფანიანის კარში. 21-ე წუთზე იმავე მეგრელაძემ კარგად შეურჩია ადგილი შავდათუაშვილის გადაცემას და მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო 41-ე წუთზე სტუმრების საჯარიმო მოედანზე უხეშში თამაშის გამო დაინიშნა 11-მეტრიანი, გაბესკირიამ ზუსტად შეასრულა დარტყმა —3:0.

შესვენების შემდეგ აბოვიანელმა ფეხბურთელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს თამაში, მაგრამ ტორპედოელებმა ბოლომდე ღირსეულად იბრძოლეს და შეინარჩუნეს დამსახურებული გამარჯვება — 3:0. მორიგი ორი ტურის შეხვედრებს ქუთაისელი ფეხბურთელები კვლავ საკუთარ მინდორზე ჩაატარებენ.

• • •

ამ დღეს მორიგ წარმატებას მიაღწია ლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა ლანჩხუთის „გურიამ“. ლანჩხუთელი ფეხბურთელები იაროსლავლში შეხვდნენ „შინიკს“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. აღსანიშნავია, რომ „გურიამ“ პირველ წრეშიც შეძლო „შინიკის“ დამარცხება (3:0).

• • •

ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „შეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, ასკ (დონის როსტოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — ცსკა 0:7, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:0, „კაირატი“ (ალმა-ათა) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0.

ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	23	16	4	3	66-17	36
„კაირატი“	23	14	5	4	42-17	33
„გურია“	23	13	6	4	37-17	32
„ფახთაქორი“	23	11	6	6	30-13	28
„ფაკელი“	23	11	5	7	27-16	27
„დინამო“ სტ.	23	9	9	5	31-25	27
„ნეფთჩი“	23	10	6	7	26-21	26
„გეოლოგი“	23	11	3	9	25-24	25
„ნისტრუ“	23	11	2	10	25-32	24
„ტორპედო“	21	10	3	8	34-29	23
„მეტალურ.“	23	9	5	9	32-24	23
„როსტსელ.“	23	7	9	7	22-22	23
„სპარტაკი“	23	8	6	9	27-29	22
„შინიკი“	23	7	8	8	26-39	22
„ტავრია“	22	8	5	9	31-33	21
„დინამო“ ბ.	23	8	5	10	21-37	21
„კოტაიკი“	22	7	6	9	23-20	20
„ყუბანი“	23	7	4	12	24-48	18
„კუზბასი“	23	5	7	11	14-27	17
ასკ რ.	23	5	5	13	30-43	15
ასკ „კარპ.“	23	2	6	15	18-46	10
„დაუგავა“	23	2	5	16	12-43	9

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-90

შესარჩევი შეხვედრები

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრათა ციკლი.

სამხრეთ ამერიკა

კონტინენტის სამხრეთის რეგიონის ქვეყნები დაყოფილი არიან 3 შესარჩევ ჯგუფად. **პირველ** ჯგუფში გამოდიან ურუგვაი, ბოლივია, პერუ; **მეორეში** — კოლუმბია, ეკვადორი, პარაგვაი; **მესამეში** — ბრაზილია, ჩილი, ვენესუელა.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან არგენტინა უშუალოდ ფინალში გამოდის, როგორც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი.

პირველი და მესამე ჯგუფების გამარჯვებული გუნდები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში უშუალოდ გადიან, ხოლო მეორე ჯგუფის გამარჯვებული დამატებით 2 მატჩში შეხვედება ისრაელის ნაკრებს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ოკეანიისა და ავსტრალიის ქვეყნების შესარჩევ ტურნირში.

სამხრეთ ამერიკაში ჯერ-ჯერობით სულ 2 შეხვედრა გაიმართა მესამე ჯგუფის გუნდებს შორის. ვენესუელის ნაკრებმა თავის მინდორზე ანგარიშით 0:4 წააგო ბრაზილიის გუნდთან, შემდეგ კი მარცხი განიცადა ჩილის ნაკრებთან შეხვედრაში — 1:3. აქ დაწინაურდნენ ბრაზილიისა და ჩილის ფეხბურთელები, ვენესუელის ნაკრებს ქულა არა აქვს.

აზია

ამ რეგიონის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები საფეხბურთიანი სისტემით მიმდინარეობს. ჩინელმა ფეხბურთელებმა გამოტოვებული შეხვედრა ჩაატარეს ტაილანდის გუნდთან, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და თავიანთ ჯგუფში პირველ ადგილზე დამკვიდრდნენ. ჩინეთისა და ირანის გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ, მაგრამ ჩინელებს პირველი ადგილი ხვდათ გატანილი დამიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით.

ბათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ჩინეთი	6	5	0	1	15-3	10
ირანი	6	5	0	1	12-5	10
ბანგლადეში	6	1	0	5	4-9	2
ტაილანდი	6	1	0	5	2-14	2

აზიაში ახლა ზონებში გამარჯვებული 6 გუნდის დასკვნითი ტურნირი გაიმართება, მასში მონაწილეობენ ჩინეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კატარის, საუდის არაბეთის, არაბეთის გაერთიანებული იმირატებისა და სამხრეთ კორეის გუნდები. პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი მიიღებენ იტალიის ფინალური ტურნირის ორ საგზურს. ფეხბურთის აზიის კონფედერაციის გადაწყვეტილებით ტურნირი ჩატარდება სინგაპურში (13 მატჩი) და მალაზიაში (ბოლო ორი შეხვედრა) 12-28 ოქტომბერს.

კონკაკაფი

ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებიდან ერთი გამარჯვებული უკვე გამოვლინდა. ესაა კოსტა-რიკის ნაკრები, რომელმაც 8 მატჩში 11 ქულა დააგროვა და შეჯიბრების დამთავრებამდე გაიაღდა ფინალში მონაწილეობის უფლება. ამჟამად ბრძოლა მიმდინარეობს მეორე ადგილისთვის, რომლის მოპოვების მთავარი პრეტენდენტები არიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ტრინიდადი და ტობაგოს გაერთიანებული ნაკრები. ტრინიდადის და ტობაგოს ნაკრებმა ბოლო მატჩი თავის მინდორზე სალვადორის გუნდს მოუგო — 2:0.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა მომავალი მატჩებისთვის სამზადისის პროგრამით მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურნირში, რომელიც იტალიის დედაქალაქში გაიმართა. ამერიკელმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი წააგეს „სამპდორიასთან“ — 0:1, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი დაამარცხეს ცნობილი „რომა“ — 4:3.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **დასრულდა** ევროპის „ინტერთასის“ გათამაშება. წლეულს ტურნირში მონაწილეობდა 14 ქვეყნის 44 გუნდი, რომლებიც 11 ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. გაგაცნობთ გამარჯვებულ გუნდებს: „ლუცერნი“, „გრასჰოპერსი“ (ორივე — შვეიცარია), „ბკ 1903“ (დანია), „ერებრუ“, „ერგრიუტე“ (ორივე — შვეიცია), „კაიზერსლაუტერნი“, „კიკერსი“ (ორივე — გფრ), „ტიროლი“ (ავსტრია), „სპარტა“, „ბანიკი“ (ორივე — ჩეხოსლოვაკია), „ტატაბანია“ (უნგრეთი).

● **პარიზის** „რესინგმა“ ჩემპიონატი თითქმის მთლიანად განახლებული შემადგენლობით დაიწყო. გუნდიდან წავიდნენ ფერნანდესი, ურუგვაელი უმპიერესი, ჰოლანდიელი სოლიო, მაროკელი კრიმო. დაასრულა კარიერა ბოსიმ. ახალია მწვრთნელიც — პოლონელი კასპერჩაკი. მან „პორტოდან“ მიიწვია თავდამსხმელი პლაჩიდო. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია ორი ურუგვაელის — ფრანჩესკოლისა და ბუენოს-აირესიდან დაბრუნებული რუბენ ჰასის ბედი. შესაძლოა რომელიმე მათგანი იტალიაში გადავიდეს. ამ შემთხვევაში მას შეცვლის პოლონელი დარიუს ვდოვჩიკი.

კორეელთა ორი მატჩი

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ჩვენს ქვეყანაში სტუმრად ჩამოვიდნენ სამხრეთ კორეის ფეხბურთელები.

პირველი თამაში სტუმრებმა ხარკოვში გამართეს, სადაც ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ადგილობრივი „მეტალისტი“.

7 აგვისტოს სამხრეთ კორეის ნაკრები მოსკოვში შეხვდა „სპარტაკს“, მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

დონის როსტოვის საფეხბურთო კლუბ „როსტსელმაშის“ (I ლიგა) ბოლოს ვეთ სტუმრად ჩამოვიდა ეგვიპტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი, ამ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი „ტერსანა“. ეგვიპტელი ფეხბურთელები საწვრთნელ შეკრებას და ამხანაგურ მატჩებს გამართავენ ჩვენს ქვეყანაში.

საჭადრაკო ფესტივალზე

ზარშან ზაფხულს ლიტვის პატარა ქალაქ პანევეჟისში საფუძველი ჩაეყარა ახალ საჭადრაკო ფესტივალს, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს გუნდიც— უმაღლესი სპორტული დოსტატების №1 რესპუბლიკური სკოლის კოლექტივი. ჩვენმა გუნდმა IV-V ადგილები გაიყო, ხოლო მისმა წევრმა ნინო ფილიამ ქალთა შორის პირველობა მოიპოვა.

წელს კი „პანევეჟისი_89“ საქართველოს უკვე 3 გუნდი გამოდიოდა: თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საჭადრაკო სკოლა (თბილისი-I), უმაღლესი სპორტული დოსტატების №1 რესპუბლიკური სკოლა (თბილისი-2) და ე. წ. „შერეული“ გუნდი (თბილისი-3), რომელიც შედგა 2 მწვრთნელისა და 2 მათი „შეგირდისგან“. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით — 11 ტურად ჩატარდა.

სვერდლოვსკელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა, რომელიც შეჯიბრების ბოლომდე არავის დაუთმეს. ჩვენი გუნდები კი სულ ლიდერთა ჯგუფში იყვნენ. 6 ტურის შემდეგ ოთხმა თბილისელმა მოჭადრაკემ საკმაოდ კარგი სტარტი აიღო: ლ. სადუნიშვილმა და ო. თურქესტანიშვილმა 5-5 ქულა მოაგროვეს, ნ. ეძგვერაძემ (მამაკაცთა ჯგუფში) და ნ. ღლონტმა —4,5_4,5.

საბოლოოდ უმაღლესი სპორტული დოსტატების №1 რესპუბლიკური სკოლის გუნდმა 29 ქულით II ადგილი დაიკავა, ხოლო თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საჭადრაკო სკოლის გუნდი 27 ქულით III ადგილზე გავიდა.

კიდევ ერთხელ გაგვახარა ჩვენი გოგოების შედეგებმა. 9,5-9,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს ლ. სადუნიშვილმა და სვერდლოვსკელმა ე. გრიუნვალდმა, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით ჩვენს მოჭადრაკეს პირველი ადგილი მიეკუთვნა. III ადგილს დაეუფლა ნ. ღლონტი (8 ქულა).

მეტად სასიამოვნო მოგზაურობა ჰქონდა დატოვა ნ. ეძგვერაძის თამაშმა ვაჟთა ტურნირში. მართალია, მან მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა, სამაგიეროდ ძალიან ძლიერ მეტოქეებს შეეჯახა.

უმოწყალოდ „გაუსწორდა“ ყველას სვერდლოვსკელი ვ. ხარლამოვი, რომელმაც 11 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ი. კოზლოვი (9 ქულა), მესამეზე — მოსკოველი ა. დმიტრიევი (8 ქულა), 7,5 ქულით VII ადგილს „ჩაეჭიდა“ ამ სტრიქონების ავტორი.

სხვათა შორის, თბილისის მესაჭე გუნდიც (ე. წ. „შერეული“) VII ადგილზე აღმოჩნდა.

თბილისელთა ინდივიდუალური შედეგები: გ. ხომერიკი — 6,5, დ. ხოსრუაშვილი — 6,5, ნ. ეძგვერაძე — 6, ნ. ღლონტი — 8, ხ. ბახტაძე — 6,5, დ. დაბრუნდაშვილი — 6, ბ. კვარაცხელია — 7, ლ. სადუნიშვილი — 9,5, თ. გელაშვილი — 6, ი. ესაკია — 4, ი. ცქიტიშვილი — 7, ო. თურქესტანიშვილი — 7,5.

პირად ჩათვლაში მონაწილე თბილისელთა შედეგები კი ასეთია: ზ. ქსოვრელი — 6, ნ. დუნდუა —5,5 და ვ. დუნდუა —4.

ფესტივალი სასარგებლო იყო ახალგაზრდა მოჭადრაკეებისთვის, რაც მათ მომავალ წარმატებათა საწინდრად გვესახება.

და კიდევ: ფესტივალის მსვლელობის დროს დავათვალიერეთ ძმათა სასაფლაო და სამი ქართველი მეომრის საფლავი აღმოვაჩინეთ, რომლებიც გმირულად დაეცნენ გერმანელი დამპყრობლებისგან ქალაქ პანევეჟისის განთავისუფლებისას. საფლავების ქვებზე ამოვიკითხეთ: „სერჟანტი გრიგოლაშვილი, 1945; რიგითი ლათიაშვილი, 1945, ბაღდაშვილი გ. ზ. 1945“. იქნებ ეს მეტად მწირი ცნობები დაეხმაროს ამ სამი გმირულად დაღუპული ქართველის ნათესავებს მათი საფლავების მოძებნაში.

ოთარ თურქესტანიშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ფრიკენელი გიბერნიტივა

ნიუ-იორკი. აშშ-ს მოცურავეთა ჩემპიონატზე 17 წლის ჯანეტ ევანსმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა. სეულის ოლიმპიადის ხუთგზის ჩემპიონმა მეტ ბიონდმა სპორტში დაბრუნება თავისუფალი სტილით 50-მეტრიან დისტანციაზე გამარჯვებით აღნიშნა — 22,36. მიმდინარე წელს მსოფლიოში საუკეთესო შედეგები აჩვენეს უეიდ კინგმა (100 მ. ბატერფლაი — 53,72), მეღვინ სტიუარტმა (200 მ ბატერფლაი — 1.57,94) და დანიელ იორგენსენმა (400 მ თავისუფალი სტილით — 3.50,86).

ავინიონი. საფრანგეთის ამ ქალაქში გამართულ ტრიატლონისტთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვეს ამერიკელმა მარკ ალენმა და ახალზელანდიელმა ერინ ბეიკერმა. შეჯიბრების პროგრამაში იყო ცურვა მდინარე რონაზე, 40-კილომეტრიანი საველოსიპედო რბოლა და მძლეოსნური კროსი 10 კილომეტრზე. ალენის შედეგი ამ სამი სახეობის ჯამში იყო 1:58.46, ბეიკერისა კი 2:10.02.

ვინერ_ნეიშტადტი (ავსტრია). თანამედროვე ხუთჭიდელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება ამერიკელმა ლორი ნორვუდმა მოიპოვა — 53.15. საბჭოთა სპორტსმენთაგან პრიზიორთა სამეულში ვერავინ მოხვდა. გუნდური გამარჯვება პოლონელ სპორტსმენებს დარჩათ. უხეიროდ გამოვიდა ამჯერად ჩვენი ნაკრებიც, რომლის შემადგენლობაში ყოფნენ მარინა ნაუმოვა, ტატიანა ჩერნეცკაია, ჟანა გორლენკო და ჟანა დოლგაჩოვა.

ჰელსანკი. როგორც ცნობილია, 3 სექტემბერს ინდიანაპოლისში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. ამ დღეებში მოლანში კი ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა. და უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დიდი შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებზე ნატალია რუმიანცევას წარმატებამ ფიგურულ სრიალში. მას ღირსეული წინააღმდეგობა ვერც ერთმა მეტოქემ ვერ გაუწია. ასევე კარგად გამოვიდა ხტომებში ინგლისელი კარენ მორზე. სხვათა შორის, ქალებში მან პირველმა დასძლია 40-მეტრიანი ზღვარი. მისი ერთ-ერთი ნახტომი 40,1 მეტრს შეადგენდა.

იპონი (მალაიზია). აგვისტოში აქ ჩატარდება 21 წლამდე ასაკის ბალახის ჰოკეისტთა (იუნიორები) მსოფლიო ჩემპიონატი. გადაწყდა, რომ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა სპორტსმენებიც: ნახევარფინალურ ჯგუფში მათ პაკისტანის, ინგლისის, აშშ-ს, სამხრეთ კორეასა და ესპანეთის კოლექტივებთან ექნებათ საქმე.

მოსკოვი. ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატის (დაიწყება 14 აგვისტოს ლიონში) ბოლო ოთხი საგზური გათამაშდა საკავშირო ჩემპიონატზე. ისინი წილად ხვდათ ჯგუფურ რბოლაში ვაჟთა და ქალთა შორის პირველ ორ ადგილზე გასულ სპორტსმენებს. ვაჟთა ნაკრებში მოხვდნენ: მარატ სატიბალიევი (ყიზილ-ორდი) და დიმიტრი ნელიუბინი (ლენინგრადი). ქალებში: როზა იაკუპოვა (ლენინგრადი) და მისი თანაქალაქელი ანა პეტროვა.

თბილისელი დიდოსტატები საზღვარგარეთ

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ ამ დღეებში ამსტერდამში დიდი საჭადრაკო ბუმია, იმართება „ოჰრა-ფესტივალი“, რომლის პროგრამაშიც ორი ტურნირია. ძირითად შეჯიბრებაში 7 ტურის შეხვედრებია გათამაშებული და ჯერჯერობით დაუმარცხებლად მხოლოდ ერთი მოჭადრაკე მიიწევს წინ — ლვოველი დიდოსტატი ალექსანდრე ბელიავსკი (5 ქულა). ლიდერს ქულით ჩამორჩებიან შვეიცარიელი ვიქტორ კორჩნოი და ინგლისელი ჯონათან სპილენი.

მეორე შეჯიბრებაში 6 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ლიდერობენ მინსკელი ბორის გელფანდი და ესპანელი მიგელ �სკასი. 4-4 ქულა მოაგროვეს ნორჩმა უნგრელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა იუდით პოლგარმა, ამერიკელმა ბენჯამინ ფაინგოლდმა და რიგელმა ვლადიმერ ბაგიროვმა. ამასთან, ამერიკელ ოსტატს ერთი, უარეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს. 3,5 ქულა ამ დროისთვის ექვსმა მოჭადრაკემ მოაგროვა, მაგრამ შორისაა თბილისელი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

პოლონეთის ქალაქ პოლიანიცე-ზდრუიში კი დაიწყო რიგით 27-ე საერთაშორისო ტურნირი — აკიბა რუბინშტეინის მემორიალი. 2 ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულა აქვთ იგორ ნოვიკოვსა (სსრ კავშირი) და ვალდო სარიეგოს (კუბა). თბილისელი დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი დაუზავდა სერგეი დვოირისსა (სსრ კავშირი) და პაველ სტემპინს (პოლონეთი). მას ჯერჯერობით 1 ქულა აქვს.

ვეტერანები ევროპულ ტურნირზე

დანიაში სულ ახლახან გაიმართა ვეტერან ფეხბურთელთა პირველი არაოფიციალური ევროპის ჩემპიონატი, სადაც ჩვენი ნაკრებიც მონაწილეობდა. როგორც ვიტყობინებოდით, ამ საინტერესო ტურნირის თაობაზე ინფორმაცია ერთობ ძუნწად მოგვდიოდა, ამიტომაც მკითხველი დროულად ვერ ჩავაყენეთ მოვლენათა კურსში.

ვსარგებლობთ „ფუტბოლ-ხოკეიში“ გამოქვეყნებული საბჭოთა გუნდის მწვრთნელის იგორ ნეტოს საუბრით და მკითხველს ვთავაზობთ განვლილი ტურნირის ზოგიერთ საინტერესო ასპექტს.

— დანიაში მოეწყო ვეტერანთა მეორე მსოფლიო თამაშები, — განაცხადა ი. ნეტომ, — მისი პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ევროპის პირველი არაოფიციალური ჩემპიონატი ფეხბურთში. კოპენჰაგენში გამგზავრებამდე ვიცოდით, რომ გათამაშებაში მონაწილეობა უნდა მიეღო 8 გუნდს, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის კოლექტივებსაც, მაგრამ ისინი გაურკვეველი მიზეზით შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ. ამიტომაც წინასწარ ჯგუფებში თითო მატჩით ნაკლები შედგა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 34 წლამდე ფეხბურთელებს. ჩვენს გუნდთან ერთად დანიაში ვერ წამოვიდა მეკარე ვ. პილგუი, რომელიც მოსკოვის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტია და ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ლიგების კავშირის დამფუძნებელ კონფერენციაში მონაწილეობდა. იგი გონტარმა შეცვალა. ესკოვის ნაცვლად, რომელიც პოლონეთის არმიელთა გუნდს ხელმძღვანელობს, გუნდში ჩაირიცხა 50 წლის შუსტიკოვი. დასანანი იყო, მაგრამ კოპენჰაგენში ვერ ჩამოვიდა ოლეგ ბლოხინიც, რომელიც, როგორც იცით, ამჟამად ავსტრიის კლუბში გამოდის.

საბოლოოდ ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობა პრაქტიკულად ასე გამოიყურებოდა: გონტარი, ტუქმანოვი, ჩივაძე (კაპიტანი), ნიკულინი, დოლმატოვი, სახაროვი, მაქსიმენკოვი, საბო, კოლოტოვი, გერშკოვიჩი, იაკუბიკი. შემცვლელებად გამოდიოდნენ ვრებნევი და ნ. პეტროსიანი, „თადარიგში“ გვყავდა მეკარე რუდაკოვი და შუსტიკოვი.

ასაკით ჩვენ ყველაზე ხანდაზმულნი აღმოვჩნდით; საბჭოთა გუნდში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე იყო 34 წლის ალექსანდრე ჩივაძე, ხოლო ყველაზე უფროსი — 49 წლის იოზეფ საბო.

განვლილი ტურნირი ერთგვარად სასინჯი, საექსპერიმენტო იყო, ვინაიდან შემდგომისთვის დაგეგმილია ვეტერან ფეხბურთელთა უკვე ოფიციალური ევროპის ჩემპიონატი, რომლებშიც ჩვენც მოგვიწევს, მონაწილეობა, ამიტომაც საბჭოთა კავშირში უნდა ჩამოყალიბდეს ვეტერანთა ძუძმივმოქმედი ნაკრები, რომელიც სრულ მზადყოფნაში იქნება ასეთი შეჯიბრებებისთვის.

ჩვენ ჯგუფში პირველი შეხვედრა გვქონდა პოლონელებთან, ჩვენს მეტოქეს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, იგი ორჯერ დაწინაურდა კიდეც (1:0, 2:1), მაგრამ ჩვენმა გუნდმა მეორე ტაიმი ძლიერად ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2, ბურთები გაიტანეს იაკუბიკმა (2), კოლოტოვმა და პეტროსიანმა.

მეორე მატჩი იტალიის გუნდთან გავმართეთ. აქაც მეტოქე დაწინაურდა (ჯენტილე), მაგრამ შემდგომში იაკუბიკმა ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი და მატჩიც ფრედ დამთავრდა — 1:1. მეორე ტურში ჰოლონელმა ვეტერანებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს იტალიის გუნდი, რის შემდეგაც ფინალის საგზური ჩვენ გვხვდა წილად.

მეორე ჯგუფში ჰოლანდიისა და დანიის გუნდებმა ერთმანეთში ფრედ ითამაშეს (0:0), შვეიცის ფეხბურთელებმა კი ჯერ დანიელებს მოუგეს — 2:0 და მერე 4:1 — ჰოლანდიელებს.

ფინალში შვეიცის გუნდს შევხვდით. შვეიცები ამ ტურნირისთვის კარგად მომზადებული იყვნენ. ისინი დაწინაურდნენ კიდეც პირველ ტაიმში — 1:0, 70-ე წუთზე კოლოტოვმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ შვეიცარელებმა კვლავ იმძლავრეს, გადამწყვეტი გოლი გაიტანეს და გაიმარჯვეს კიდეც —2:1. შვეიცის ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის ფაიფურის მედლებით, საბჭოთა ფეხბურთელებს გადაეცათ მეორე ხარისხის ასეთივე მედლები, გამოავლინეს ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებიც: მეკარე შრიოვერსი (ჰოლანდია), მცველი ნორდკვისტი (შვეცია) და თავდამსხმელი ანდერსონი (შვეცია). საინტერესოა, რომ ანდერსონმა ამ ტურნირში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა (4), ხოლო მცველი ნორდკვისტი იმითაა ცნობილი, რომ შვეციის ნაკრების შემადგენლობაში 115 ოფიციალური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. მომავალი ასეთი შეჯიბრებებისთვის, რომლებსაც, ალბათ, უკვე ვეტერანთა ოფიციალური ჩემპიონატები დაერქმევა, სსრ კავშირის ნაკრები უფრო საფუძვლიანად და სერიოზულად უნდა მოემზადოს. ჩვენ გვყავს ასაკოვანი ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ გამარჯვებისთვის ბრძოლა ამ ასპარეზზე.

საერთაშორისო ფეხბურთი: ფრედვანი, ცხრილები

უცხოეთის ბევრ ქვეყანაში სტარტი აიღო ფეხბურთელთა ეროვნულმა ჩემპიონატებმა.

პოლონეთი

I ტური. „სოსნოვეცი“ — „ბიალისტოკი“ 1:1, „ოლიმპია“ — „ვისლა“ 1:1, „ლუბინი“ — „ლეხი“ 2:0, „ლეგია“ — „სტალი“ 1:1, „ლიუბლინი“ — „ვიძევი“ 2:0, „ლკს — „კატოვიცი“ 2:1, „ბიდგოშში“ — „ვროცლავი“ 1:0, „რუხი“ — „გურნიკი“ 2:0.

გფრ

I ტური. „სენტ პაული“ — „ვერდერი“ 0:0, „ლევერკუზენი“ — „დორტმუნდი“ 1:0, „ბოჰუმი“ — „კიოლნი“ 0:1, „ფრანკფურტი“ — „მანჰეიმი“ 3:1, „დიუსელდორფი“ — „ჰამბურგი“ 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „მიონხენგლადბახი“ 2:1, „ბაიერნი“ — „ნიურნბერგი“ 3:2, „შტუტგარტი“ — „კარლსრუე“ 2:0, „იურდინგენი“ — „ჰომბურგი“ 3:0.

საფრანგეთი

მე-2 ტური. „ლიონი“ — „ტულუზა“ 3:0, „კანი“ — „სენტ ეტიენი“ 3:2, „ბრესტი“ — „ლილი“ 1:0, „ოსერი“ — „ნიცა“ 1:0, „მონაკო“ — „სოშო“ 2:1, „კანი“ — „ტულონი“ 0:0, „ბორდო“ — „რესინგი“ 4:0, „სენ ჟერმენი“ — „მეცი“ 1:0, „მარსელი“ — „ნანტი“ 1:0, „მულუზი“ — „მონრეალი“ 2:0.

შვეიცარია

I ტური. „რაუ“ — „ვეტინგენი“ 1:2, „ბელინცონა“ — „ლუგანო“ 2:2, „გრასჰოპერსი“ — „ლუცერნი“ 1:0, „ქსამაქსი“ — „იანგ ბოისი“ 2:1, „სენტ გალენი“ — „სიონი“ 2:2, „ლოზანა“ — „სერვეტი“ 2:3.

ავსტრია

I ტური. „ზალცბურგი“ — „გრაცერი“ 0:0, „შტურმი“ — „ადმირა“ 3:0, „რაპიდი“ — „სენტ პოლტენი“ 3:0, „ვრემსერი“ — „ვიენა“ 3:1, „შტეირი“ — „ტიროლი“ 2:2, „ვინერ სკ“ — „აუსტრია“ 0:1.

„რენო“ და „უილიამსი“

„ფორმულა 1“ ავტომობილებით მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ფირმა „რენო“ ითანამშრომლებს მხოლოდ ბრიტანულ „უილიამსთან“, — განაცხადა „რენოს“ სპორტული სამმართველოს პრეზიდენტმა პატრიკ ფორმა. „ჩვენ, ალბათ, კიდევ მოგვიწევს ძრავაზე მუშაობა, — თქვა მან — ახალ პარტნიორზე კი 1991 წლამდე ფიქრი ადრეა“. ფორმა აღნიშნავს აგრეთვე, რომ პილოტების არჩევანის უფლება „უილიამსს“ რჩება, მაგრამ დასძინა, რომ დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებდა ალენ პროსტთან.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის „შევარდენის“ სტადიონი

9 აგვისტო

I ფეხბურთი

II ლიგა

„შევარდენი“ (თბილისი) — „ძიაფაზი“ (ციროვაბადი)

დასაწყისი 19 საათზე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98_97_55, სამდივნო — 98_97_52, ინფორმაციის განყოფილება — 98_97_58, „მერანი“ — 98_97_26, „მართვე“ — 98_97_27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ბრიანის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ეე 10460